**სსიპ საქართველოს**
**კინემატოგრაფიის ეროვნული**
**ცენტრის დირექტორი**

12 აპრილი 2024

N 73

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი საერთაშორისო კინოფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა" პროექტების გამარჯვებულად გამოცხადებისა და დაფინანსების თაობაზე**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის, „კინოხელოვნების პოპულარიზაციის პროექტების დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2022 წლის 2 მარტის №32 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „კონკურსის „2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი საერთაშორისო კინოფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 19 მარტის №35 ბრძანებისა და „სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის „2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი საერთაშორისო კინოფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა" ფარგლებში რეგისტრირებული განცხადებების განხილვისა და შეფასების მიზნით კომისიის შექმნის შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 1 აპრილის №47 ბრძანებით შექმნილი კომისიის 2024 წლის 5 აპრილის №1 და 11 აპრილის №2 სხდომის ოქმების საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

**1.** სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 19 მარტის №35 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის „2024 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განსახორციელებელი საერთაშორისო კინოფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა" ფარგლებში გამარჯვებულად გამოცხადდეს და დაფინანსდეს შემდეგი პროექტები:

ა) „მე-12 ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი ნიქოზი" - ა(ა)იპ წმინდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლა (ს.ნ. 218082526) - დაფინანსდეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) „მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი" - ა(ა)იპ მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო ფესტივალი (ს.ნ. 435895024) - დაფინანსდეს 60 000 (სამოცი ათასი) ლარის ოდენობით;

გ) „სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი „დალი"" - ა(ა)იპ სვანეთი ფილმ სტუდიო (ს.ნ. 406402780) - დაფინანსდეს 90 000 (ოთხმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

დ) „ოქროს მტევანი“ თელავის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალი - ა(ა)იპ პროექცია (ს.ნ. 405026537) - დაფინანსდეს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით;

ე) „ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი““ - ა(ა)იპ პერსონაჟი (ს.ნ. 404989447) - დაფინანსდეს 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარის ოდენობით;

ვ) „საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა 2024““ - ა(ა)იპ კულტურის და განათლების ფონდი (ს.ნ. 404527062) - დაფინანსდეს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით;

ზ) „თბილისის საერთაშორისო სტუდენტური კინოფესტივალი „ამირანი 2024““ - სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - დაფინანსდეს 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის ოდენობით.

**2.** დაევალოს სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის იურისტს ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება.

**3.** საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს ცვლილება და დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს ფაქტობრივი ხარჯის შესაბამისად, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული თანხის ფარგლებში.

**4.** დაევალოს ეროვნული კინოცენტრის ლოჯისტიკის მენეჯერს კონკურსში გამარჯვებული პროექტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ეროვნული კინოცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე, არაუგვიანეს 2024 წლის 12 აპრილისა.

**5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**6.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი